ოქმი:ო37. 3724234001
თარიღი:21/08/2024

ოქმი N 18

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2024 წელი 20 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

17.00- 17.30 -საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ტ. აროშიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, ალ. ბურჭულაძე, პ. კიღურაძე, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 9 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დ. დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი

პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლვრენტი ბიგვავა

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკი 2-ის ტერიტორიაზე(ს.კ. 26.35.02.088) ტურისტულ-დასასვენებელი სარეაკრიაციო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

გადაწყვიტეს:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებული N 1 საკითხი განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით დაეწეროთ საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის შესაძლებლობის განსაზღვრისათვის.

2. N 2,3 საკითხები განსახილველად და დასკვნების წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას(დ. ჭაკნელიძე).

3. N 4 საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას(ბ. თოიძე).

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი